განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქიმიის საბაკალავრო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26-27 აპრილი, 2021 წელი

-დასკვნის წარდგენის თარიღი
11.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქიმია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ქიმიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0531 ქიმია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელინა ბაქრაძე - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ოჩხიკიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, გლობალიზაციის ეკონომიკური და

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №734, 28/11/2012), დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №05/01 – 35, 21.06.2012). 2017 წელს, დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/01-351, 17.07.2017). 2019 წლის ივლისამდე პროგრამა ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №152/ნ ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გაერთიანდა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. ამჟამად პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე.

ქიმიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა) აგებულია სასწავლო კურსებისაგან. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 123 ECTS კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 36 ECTS კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი, ზოგადი უცხო ენა - 18 ECTS კრედიტი; დარგობრივი უცხო ენა - 3 ECTS კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, აღზარდოს ქიმიის ფართო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეროვნული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვის, ევროპულ საგანმანათლებო სივრცეში ინტეგრაციის, ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების უნარები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №376591 ბრძანების მიხედვით, ქიმიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად 26 აპრილს შედგა უნივერსიტეტში ვიზიტი, ხოლო 27 აპრილს - დისტანციურად ინტერვიუ ფოკუსჯგუფებთან. ვიზიტამდე დისტანციურად ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა განიხილეს უნივერსიტეტის ვიზიტთან დაკავშირებული საკითხები და მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი უნივერსიტეტში განხორცციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით

და დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან იყო გამოხატული ვიზიტის სრულყოფილად განხორციელების მზაობა. ვიზიტი შედგა სამუშაო და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება ხუთივე სტანდარტს.</u>

- **რეკომენდაციები**
  - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე აქედან გამომდინარე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებში ჩართულობა, ლაბორატორიული კომპონენტის მოდიფიცირება, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება.
  - სილაბუსებში: ნივთიერებათა აღნაგობა, კრისტალოქიმია მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
  - ზოგიერთი საგნის, კოლოიდური ქიმია, მაკრომოლეკულების ქიმია,ზოგადი ფიზიკა-1, დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური თუ ქართულენოვანი ნაშრომებიც.
  - ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავდეს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალას, რაც სილაბუსებით არის განსაზღვრული და სტუდენტებს ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდეთ დროულად და სტაბილურად;
  - უცხო ენების კურსების გაძლიერება.
  - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში.
  - უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით, სტუდენტის რაოდენობასთან კორელაციაში და ამასთან სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სამომავლოდ გამოყენებუ-ლი იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები, რომელიც იქნება ეფექტური და შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის;

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ეფექტური მექანიზმები ამოქმედდეს საერთაშორისო დონის სპეციალისტებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების თვალსაზრისით;
- დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლისთვის სასურველია უნივერსიტეტი იყენებდეს ანტიპლაგიატის პროგრამას;
- კარგი იქნება, ზოგიერთი საგნის (ანალიზური ქიმია-2) სილაბუსში დამხმარე ლიტერატურა გაიზარდოს;
- პროგრამას ყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტურია იქნება პროგრამის მიზნებსა და შესაბამის სფეროსთან სასურველია მათი ლაბორატორიული ბაზების უფრო ინტენსიურად გამოყენება;
- სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სასურველია მოიცავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმებასაც;
- მიზანშეწონილია სტუდენტთა წახალისება სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით;
- სასურველია პროგრამამ სწავლების პროცესში გაითვალისწინოს საველე პრაქტიკის გავლა, რაც საუკეთესო პრაქტიკა და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უნარების განსავითარებლად;
- სასურველია სილაბუსებში ასახული იყოს სწავლების პროცესში გამოყენებული პრეზენტაციები;
- სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა;
- ელექტრონული სასწავლო სისტემის მოდერნიზაცია რათა ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას;
- სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა;
- სასურველია, პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული დასაქმების სფეროების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში სტუდენტების დასაქმებას;
- სასურველია ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის პირობების და მექანიზმების შექმნა;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა, საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით. ასევე, ბაკალავრიატის სტუდენტები მეტად ჩაერთონ ახალი კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნების პროცესში;
- სასურველია აკადემიური პერსონალის შერჩევიისას გათვალისწინებული იქნეს პუბლიკაციების რიცხვი IF-ის მქონე ჟურნალებში ისევე როგორც მათი h-ინდექსი (Thomson Reuters / Web of Science);

- სასურველია, სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები;
- ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ჭურჭლისა და ხელსაწყო-დანადგარების სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით სასურველია მიეთითოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა სხვა რესურსით დაფინანსებას;
- გასასწორებელია გარე და შიდა ექსპერტთა შეფასებებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მისასალმებელია არჩევითი საგნების ფართო სპექტრის არსებობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს კვალიფიციური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ქიმიის ბაკალავრები, რომლებსაც ექნებათ საბაზისო ცოდნა შემდეგი მიმართულებით: ზოგადი და არაორგანული ქიმიის საფუძვლები, ანალიზური ქიმიის თეორიული საფუძვლები, ეცოდინებათ ორგანულ ნაერთთა აღნაგობა, ურთიერთგარდაქმნის რეაქციები, მექანიზმები ასევე ლაბორატორიული ტექნიკისა და მეთოდების ფლობისა და ქიმიურ ექსპერიმენტზე უსაფრთხოდ მუშაობის უნარ-ჩვევები, და ა.შ. ქიმიის საბაკალავრო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებიც შეესაბამება ქიმიის ბაკალავრის კვალიფიკაციას, უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს. თუმცა, ამ მიზნების სრულფასოვნად მისაღწევად აუცილებელია ლაბორატორიული სამუშაო სივრცის გაფართოვება და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ამასთან, თანამედროვე ცოდნის მისაღებად და შრომის ბაზრის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ზოგიერთი საგნის სილაბუსის განახლება. გასაძლიერებელია ლაბორატორიული და კვლევითი ნაწილი. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა „ქიმიის“ მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე, დარგის სპეციფიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები, რომელიც იქნება ეფექტური და შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ეფექტური მექანიზმები ამოქმედდეს საერთაშორისო დონის სპეციალისტებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია არჩევითი საგნების ფართო სპექტრის არსებობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერით დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება „ქიმიის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

აქვე აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას გაირკვა, ქიმიის საბაკალავრო პროგრამით დადგენილი ფართო პრაქტიკული ცოდნის მისაღებად ლაბორატორიული მეცადინეობების საათობრივი დატვირთვა არა საკმარისია, აუცილებელია ლაბორატორიული დავალებების შინაარსობრივად გაღრმავება, კერძოდ: ორგანული ქიმიის ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობის გაზრდა, ვინაიდან დაგეგმილი ლაბორატორიული სამუშაო მხოლოდ 2 საათიანია; საკონტროლო ლაბორატორიული დავალებების თავიდან შემუშავება, შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება - სილაბუსში ლაბორატორიული მეცადინეობა ძირითადად აგებულია თვისობრივ რეაქციებზე, რაც გულისხმობს მხოლოდ სინჯარულ პრაქტიკას და სტუდენტს, ორგანული სინთეზისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საშუალება არ ეძლევა; საჭიროა ლაბორატორიის სრულად აღჭურვა, როგორც გამწოვი კარადებით, ასევე ორგანული სინთეზისათვის საჭირო ჭურჭლით.

სტუდენტებთან და კუსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ლაბორატორიულ ნაწილში სინთეზისათვის დამახასიათებელი საკმარისი უნარ ჩვევები არ გააჩნიათ და გასაძლიერებელია ამ კუთხით ლაბორატორიული კომპონენტი, კონკრეტულად საჭიროა სტუდენტის რაოდენობაზე მორგებული გამწოვი კარადები ორგანული

სინთეზისათვის საჭირო ქიმიური ჭურჭელი და.ა.შ. ასევე ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში სტუდენტების რაოდენობაზე გათვლილი სამუშაო სივრცე. აუცილებელია კვლევითი მიმართულების გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებში ჩართულობის კუთხით. პროგრამას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები იგეგმება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება/განმტკიცება. განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ხუთი საბაკალავრო ნაშრომიდან ორში ლიტერატურაში წარმოდგენილია ვიკიპედია, ასეთი ლიტერატურატურა არ უნდა იყოს გამოყენებული. ქიმიური საგნების დიდ ნაწილში თეორია და ლაბორატორიული მეცადინეობები ერთმანეთისგან გაყოფილია, რაც მისასალმებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუების შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან; • შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი; • ჩართული მხარეების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსების შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • კურსდამთავრებულებთან გამოკითხვა.
რეკომენდაციები: • საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე აქედან გამომდინარე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებში ჩართულობა, ლაბორატორიული კომპონენტის მოდიფიცირება, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით; • აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლისთვის სასურველია უნივერსიტეტი იყენებდეს ანტიპლაგიატის პროგრამას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტების ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები;

• წესდების დამტკიცების შესახებ აქტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ შედგენილია ECTS სისტემით. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის: ზოგადი უცხო ენა - 18 ECTS კრედიტი, დარგობრივი უცხო ენა - 3 ECTS კრედიტი, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 123 ECTS კრედიტი, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 36 ECTS კრედიტი, თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი, დამატებითი (Minor) პროგრამა - 48 ECTS კრედიტი და თავისუფალი კურსები 12 ECTS კრედიტი მერვე სემესტრში 6 კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამამ განიცადა ცვლილება, დაემატა ახალი საგნები, მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - „ქიმიის ისტორია“, „კომპიუტერული ქიმიური პროგრამები“; არჩევითი სასწავლო კურსები - „ზოგადი სტერეოქიმია“; შეიცვალა რიგი სასწავლო კურსების სახელწოდება და განიცადა უმნიშვნელო შინაარსობრივი ცვლილება, კერძოდ: „ბიოორგანული ქიმია და ბიოტექნოლოგიის“ ნაცვლად, „ბიოორგანული ქიმია-1“ და „ბიოორგანული ქიმია-2“; ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსები გადატანილი იქნა სავალდებულო დისციპლინების ნუსხაში, რაც გამოწვეულია ამ საგნების განსაკუთრებული მნიშვნელობით ქიმიის ათვისების პროცესში, კერძოდ: „კოორდინაციულ ნაერთთა ქიმია“, „მაკრომოლეკულების ქიმია“; შეიცვალა ცალკეული დისციპლინების ECTS-ის მოცულობა, კერძოდ: დისციპლინების - „საოფისე პროგრამები“ 3 კრედიტის ნაცვლად 6 კრედიტი გახდა; თავისუფალი კრედიტების რიცხვი 9-დან 12-მდე ECTS გაიზარდა; დამატებითი პროგრამის (minor) სპეციალობის კურსების 60 ECTS კრედიტის ნაცვლად, 48 ECTS კრედიტი გახდა; განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაიწერა და გამოქვეყნდა, მათ შორის - უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში დაფიქსირდა ახალი ე.წ. რიდერები და სახელმძღვანელოები, რომლებიც მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების დამატებამ და სწავლის შედეგების შეფასების ანალიზმმა განაპირობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარკვეული ცვლილება. ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის - „ქიმა“ შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს საჭირო ცოდნის მათთვის გადაცემას და პოგრამა მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტს გამოუმუშავდეს საჭირო უნარ-ჩვევები, თუმცა აკადემიური პერონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მკაფიოდ გამოირკვა ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების რაოდენობის გაზრდის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობა. რაც შეეხება დამსაქმებლების შეფასებას, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი დამსაქმებელი - სკოლა „აისის“ დირექტორი. წარმომადგენელმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ უპირატესობას ანიჭებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ბაკალავრის კურსდამთავრებულს, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს მათთვის საჭირო თეორიულ ცოდნას და უნარებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც დამსაქმებლისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთი ტიპის დამსაქმებელთან გასაუბრება არასაკმარისია და არ მოგვეცა შესაძლებლობა სრული ინფორმაცია მიგვეღო პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობაზე. კარგი იქნებოდა გავსაუბრებოდით სხვა ტიპის ორგანიზაციების წარმომადგენლებს (როგორიც არის: ქიმიის პროფილის საწარმოები და ფირმები, ქიმიური ექსპერტიზის აკრედიტირებული ლაბორატორიები და ა.შ) რაც საშუალებას მოგვცემდა გაგვერკვია რამდენად ფლობს კურსდამთავრებული შესაბამის ცოდნას, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების მხრივ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა. • სილაბუსები. • თვითშეფასების დოკუმენტი. • ინტერვიუს შედეგები. • უნივერსიტეტის ვებგვერდი. •
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 კრედიტიანი სასწავლო კომპონენტისგან. სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილი 240 კრედიტი განაწილებულია სავალდებულო და არჩევით კურსებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები იგეგმება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება/განმტკიცება. განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი რუბრიკით - კრიტერიუმით, რომლებიც სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან განსხვავებულია და აღწერილია სილაბუსში.

ჩამოყალიბებულია საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა. თუმცა რამდენიმე საგნის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა შეიცავს მხოლოდ ძალიან მოძველებულ (20, 30 და მეტი წლის წინათ გამოცემულ) სასწავლო მასალას. შესაძლოა, მათი ნაწილის გამოყენება მიზანშეწონილი იყოს თავისი მნიშვნელობის გამო, მაგრამ თანამედროვე მიღწევებისა და ცოდნის გადასაცემად აუცილებელია უახლესი გამოცემეით სარგებლობა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტები იყენებენ უახლეს და მრავალფეროვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ლექტორის მიერ მომზადებული საკითხავი მასალას რაც უნდა აისახოს სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში: ნივთიერებათა აღნაგობა, კრისტალოქიმია მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
- ზოგიერთი საგნის, კოლოიდური ქიმია, მაკრომოლეკულების ქიმია,ზოგადი ფიზიკა-1, დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური თუ ქართულენოვანი ნაშრომებიც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, ზოგიერთი საგნის (ანალიზური ქიმია-2) სილაბუსში დამხმარე ლიტერატურა გაიზარდოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული პერსონალი. ლაბორატორიული კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებულია თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად და დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თუმცა სწავლების ლაბორატორიული ნაწილი გარდა ფიზიკური ქიმიის მიმართულებისა არის მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი, დანარჩენ მიმართულებებზე (განსაკუთრებით ორგანული ქიმიის მიმართულება) მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია. საჭიროა ლაბორატორიის აღჭურვა, სამუშაო სივრის უზრუნველყოფა, როგორც ორგანული სინთეზისთათვის აუცილებელი ლაბორატორიული ჭურჭელით, ასევე გამწოვი კარადებით, სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში. ასევე აპარატურით. უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტებით და გასაუბრების შდეგად დადგინდა, რომ გაფორმებულია მემორანდუმები სხვა დაწესებულებებთან როგორიცაა სკოლა, აგლაძის არაორგანული და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, ფიზიკ. და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, სკოლა აისი. მნიშვნელოვანია მოხდეს აღნიშნული მემორანდუმების უფრო მეტად გამოყენება და ბაკალავრიატის სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობის შეთავაზება, რაც სტუდენტს დაეხმარება კვლევით უნარ ჩვევების გამომუშავებაში, მიიღებს მნიშვნელოვან გამოცდილებას, შეიძენს კვლევის დაგეგმვის, კვლევის შედეგების დამუშავების და გაფორმების ცოდნას. მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც სამეცნიერო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში, ასევე სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • მემორანდუმები; • სტუდენტური კონფერენციები; • ინტერვიუს შედეგები; • საბაკალავრო ნაშრომები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამას ყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტურია იქნება პროგრამის მიზნებსა და შესაბამის სფეროსთან სასურველია მათი ლაბორატორიული ბაზების უფრო ინტენსიურად გამოყენება. • სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სასურველია მოიცავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმებასაც. • მიზანშეწონილია სტუდენტთა წახალისება სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით. • სასურველია პროგრამამ სწავლების პროცესში გაითვალისწინოს საველე პრაქტიკის გავლა, რაც საუკეთესო პრაქტიკა და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უნარების განსავითარებლად;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული სწავლება/სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს (ბაკალავრი), კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოყენებულია სწავლება/სწავლის შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case stu-dy), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ვორქშოფი და სხვ. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, კერძოდ, თუ რა უნდა იცოდეს, რა დონეზე და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსებში მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სწავლება-სწავლის მეთოდები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები;

• გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სილაბუსებში ასახული იყოს სწავლების პროცესში გამოყენებული პრეზენტაციები; • სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, შეფასების სისტემა, სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცედურების შესაბამისად. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან; სტუდენტის ცოდნა ფასდება **100 ქულიანი სისტემით,** არის მრავალკომპონენტიანი და ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას/გამოცდას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ **20 ქულიანი წერითი კომპონენტით.** შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს **11 ქულაზე ნაკლები.** დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების **45%-ზე ნაკლები** და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების **60%-ს .**

შეფასების სისტემა უშვებს: **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:** ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს უშუალოდ ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • გამოკითხვის შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2014 წლის 5 აგვისტოს №05/01-172 დადგენილებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც ყოველი საგანმანათლებლო საფეხურისათვის განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. ქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის მხარდასაჭერად, უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა წესები: სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის მეხუთე თავის („სტუდენტები“) 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების შესაბამისად, განსაზღვრულია სტუდენტთა უფლება-მოვალეობები, დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები. ამავე თავის 36-ე მუხლის („სტუდენტური თვითმართველობა“) მიხედვით, სტუდენტებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში. სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონა-ლისგან. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშე-კრულები/სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს, რომლის პროცესშიც აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სტუდენტთან. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, სტუდენტს აქვს უფლება კონსულტაციისთვის ლექტორს მიმართოს ელექტრონული ფოსტით, ასევე მობილური ტელეფონის საშუალებით. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტში მუშაობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ასევე, უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს აქვს მეტნაკლები წვდომა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში, და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში განსაზღვრულია ჩატარდეს სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უნივერსიტეტას აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შემუშავებული, თუმცა სტუდენტებთან გამოკითხვებით დადგინდა, რომ სასურველია უცხო ენის კურსების გაძლიერება ვინაიდან ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საშუალება . სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ კომუნიკაცია შესაბამის აკადემიურ პერსონალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამა; • გასაუბრება უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელთან; • გასაუბრება სტუდნეტებთან; • გასაუბრება პერსონალთან; • უნივერსიტეტის ვებგვეერდი
რეკომენდაციები: • ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავდეს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალას, რაც სილაბუსებით არის განსაზღვრული და სტუდენტებს ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდეთ დროულად და სტაბილურად; • უცხო ენების კურსების გაძლიერება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ელექტრონული სასწავლო სისტემის მოდერნიზაცია რათა ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი; • სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას. • სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ბაკალავრის სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა. • სასურველია, პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული დასაქმების სფეროების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში სტუდენტების დასაქმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები •
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას.

აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფდეს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის. პროგრამაში ჩართული პერსონალს გააჩნია პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენტურობა ასევე ცხადყო, მათთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრამ.

უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება 6/6 აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 12, მათგან 6 აკადემიური პერსონალია (2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი) და 6 მოწვეული ლექტორი.

სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო პროცესში.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია და კომპეტენციები შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV- ები და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები (მგონი, ცალკე ჯობია მათი მითითება);
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში რეგულარულად ხდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა.

უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესახებ დადგენილება, რომლითაც ყურადღება ექცევა სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა მობილობასა და, ზოგადად, ინტერნაციონალიზაციას. ამასთან, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და სამეცნიერო გაცვლებს ინტერნაციონალიზაციისა და განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით. ამ თვალსაზრისით, სტრატეგიულ მიზნებად დასახულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციების განმტკიცება, საერთაშორისო ასპარეზზე უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა, საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების გაზრდა და სხვა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია ეთიკის კოდექსი, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მოწვეული პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. იგი საუნივერსიტეტო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მოწვეული პედაგოგებისა და სტუდენტური კონტიგენტის ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი საჭიროებს უნივერსირტეტის მეტ მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით, ასევე შეფასების კრიტერიუმებსა და ფორმებთან დაკავშირებით იგრძნობა ტრენინგების აუცილებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესახებ 2018 წლის 13 ივლისის N05/01-435 დადგენილება.

რეკომენდაცია

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის პირობების და მექანიზმების შექმნა.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა, საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით. ასევე, ბაკალავრის სტუდენტები მეტად ჩაერთონ ახალი კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნების პროცესში;

- სასურველია აკადემიური პერსონალის შერჩევიისას გათვალისწინებული იქნეს პუბლიკაციების რიცხვი IF-ის მქონე ჟურნალებში ისევე როგორც მათი h-ინდექსი (Thomson Reuters / Web of Science);

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად (გაუმჯობესებას საჭიროებს სსუ-ს სასწავლო ლაბორატორიები).

უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასები, აუდიტორიები, ქიმიის ლაბორატორიები და სხვა რესურსები), რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას. თუმცა ლაბორატორიულ ნაწილში აუცილებელია თანამედროვე ხელსაწყო დანადგარების დამატება, აღჭურვა (გადაიარაღება გამწოვი კარადებით და შესაბამისი ჭურჭლით) და ასევე, რიგ ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება.

ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით ქიმიის, ეკოლოგიური უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, ინტერნეტ-რესურსებითა, საერთაშორისო ელექტრონულ ბაზაში ელსევიერი (Elsevier) ჩართულობით და სხვა საინფორმაციო მასალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები
- მატერიალური და ტექნიკურ რესურსი;
- სტუდენტთა გამოკითხის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით, სტუდენტის

რაოდენობასთან კორელაციაში და ამასთან სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ფარავს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს. უნივერსიტეტის დაფინანსების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას. უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტების ბიუჯეტი; • ინტერვიუების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ჭურჭლისა და ხელსაწყო-დანადგარების სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით სასურველია მიეთითოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა სხვა რესურსით დაფინანსებას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“. უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა, მაგრამ არ არსებობს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, შესაბამისად, დაწყებულია მუშაობა ამ მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ხარისხის უზრუნველყოფის კონცენფცია ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, დამტკიცებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტის რესურსებს, ასევე დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაზღვრულია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბუჯეტი;
- შიდა და გარე ექსპეტთა შეფასებები?
- ხარისხის სამსახურთან ინტერვიუ;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 20 აპრილის N05/01 დადგენილება;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება მოიცავს: უმაღლესი განათლების შესახებ "საქართველოს კანონის" და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია: ავტორიზაცია და აკრედიტაცია. პროგრამის განვითარებისა და მასში ცვლილებების განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გათვალისწინება. მიმდინარე პერიო-დში განხორციელდა ქიმიის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება ასოცირებული პროფესორი მიერ. გარე შეფასებაში მონაწილეობენ დარგის სპეციალისტები სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით. პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ისინი განიხილავენ და ასრულებენ აკრედიტაციის (ეროვნული და/ან საერთაშორისო) დროს მიღებულ რეკომენდაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები"; • ინტერვიუს შედეგები; • გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გასასწორებელია გარე და შიდა ექსპერტთა შეფასებებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. ტარდება გამოკითხვები. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლების უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად, მისი ეფექტიანობის შესაფასებლად. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება ან განახლება; უნივერსიტეტში დამტკიცებულია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ”დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლს, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; ამ მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა) აღნიშნულ კურსს. პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა იმ გარემოებას თუ რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ. პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“; • ინტერვიუს შედეგები; • გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ქიმიის საბაკალავრო პროგრამა, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ელინა ბაქრაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნათია ოჩხიკიძე

მიხეილ ბიჭია

ნინო დეკანოიძე